საქართველოს მთავრობის

დადგენილება №57

2023 წლის 9 თებერვალი

ქ. თბილისი

„სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიებისა და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიებისა და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის №62 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/02/2022, 040170020.10.003.023270) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და ძალაშია ამოქმედებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 10 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**